

კავკასიის უნივერსიტეტი
სახელმწიფო მართვის სკოლა
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

გასაუბრება მიმღებ კომისიასთან

საბუთების შემოწმების ეტაპის შემდგომ აპლიკანტები გაივლიან გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან. გასაუბრების დროს დგინდება დარგის შესახებ აპლიკანტის საბაზისო ცოდნა და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია.

აპლიკანტი ფასდება 100 ქულიდან, რომელშიც:

- **60 ქულას** წარმოადგენს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის A ტესტის შედეგები;
- **40 ქულა** წარმოადგენს მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შედეგს (20 ქულით ფასდება სპეციალობის ცოდნა, ხოლო 20 ქულით აპლიკანტის პრეზენტაბელურობა და სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი).

სპეციალობის გასაუბრებაზე აპლიკანტმა უნდა აჩვენოს სპეციალობის საბაზისო ცოდნა საჯარო მმართველობის სფეროდან ქვევით მომცემული ფართო თემატიკის ირგვლივ (*ჯამში 20 ქულა*):

1. საჯარო პოლიტიკის არსი და ძირითადი ცნებები. ძირითადი პროცესი და ეტაპები;
2. საჯარო პოლიტიკის ანალიზის მეთოდები და პრინციპები;
3. მმართველობითი საქმიანობა დემოკრატიულ სახელმწიფოში;
4. კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტური პრინციპები და საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი ინსტიტუტები და საკითხები;
5. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა;
6. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი;
7. სახელმწიფო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ბიუჯეტირება;
8. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში;
9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის მნიშვნელობა სახელმწიფო მართვაში.

სპეციალობის თემატიკასთან დაკავშირებული ლიტერატურა, რომელსაც სასურველია იცნობდეს აპლიკანტი:

1. დენჰარტი, რობერტ და დენჰარტი, ჯენეტ (2012) საჯარო მართვა, მოქმედების კურსი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ბარდახი, ი. პრაქტიკული გზამკვლევი პოლიტიკის ანალიზში: რვასაფეხურიანი მიდგომა პრობლემათა ეფექტიანი მოგვარებისათვის, ქართული გამოცემა: თბილისი :საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრის გამომცემლობა, 2002
3. საქართველოს კონსტიტუცია;
4. ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, გ. კვერენჩილაძე, ნ. ჭილაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2017
5. Heady, F. (2001). Public administration: A comparative perspective, 6e. Boca Raton, FL: CRC Press
6. ჯონ მაკკორმიკი, ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები, 2017, თბილისი
7. ჰარვერი ს. როუზენი, საჯარო ფინანსები: ქართული გამოცემა: ზურაბ ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), გამომცემლობა თბილისი, 2006

8. ასოცირების დღის წესრიგი 2017-2020 წლებისთვის. ხელმისაწვდომია
{<http://infocenter.gov.ge/1568-asocirebis-dghis-tsesrigi-2017-2020-tslebishvis.html>}
9. გრეგორი მენქიუ „ეკონომიკის პრინციპები“, ქართული გამოცემა, დიოგენე, 2008
10. რეგულირების გავლენის შეფასება. პრაქტიკული სახელმძღვანელო. თავისუფალი
უნივერსიტეტი, ბიზნესის სამართლის ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია
{[http://nccl.ge/m/u/ck/files/RIA%20GUIDELINE%20final\(1\).pdf](http://nccl.ge/m/u/ck/files/RIA%20GUIDELINE%20final(1).pdf)}

პრეზენტაბელურობა და სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი (სულ 20 ქულა):

პრეზენტაბელურობა: გასაუბრებისას აპლიკანტი აზრს გადმოცემს ნათლად და მკაფიოდ. კომისიის წევრების რეპლიკებზე რეაგირებს ეფექტურად და ადეკვატურად. არ იბნევა. ახერხებს საკითხის სრულად და ამომწურავად წარდგენას და დროის სწორად მართვას.

სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი: გააზრებული აქვს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის მნიშვნელობა და დანიშნულება მისი პროფესიული განვითარებისთვის. აქვს გამოკვეთილი კვლევითი ინტერესი საჯარო მმართველობის დისციპლინაში და აცნობიერებს შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბს/სიღრმეს.